თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 3231930

გაცემის თარიღი: 03/05/2017 გაცნობის თარიღი: 03/05/2017

განცხადების ნომერი: AR1493112

შემოსვლის თარიღი: 04/04/2017

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.05.006.105
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N5ბ
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 339.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ტორნადო" (404870332)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- მისამართი: ოთარ ლორთქიფანიძის 20

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 4 აპრილს #AR1493112 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ #01.14.05.006.058 (ფართობი: 6 9 6 კვ.მ) საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება) მიზნით დამტკიცდა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ამის შემდგომ, მოხდა მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ორ საკადასტრო ერთეულად(N 01.14.05.006.104 და N 01.14.05.006.105), რამაც გამოიწვია მიწის ნაკვეთის საზღვრების, ფართის, კონფიგურაციის და საკადასტრო კოდის ცვლილება, შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს ხსენებული ცვლილების ასახვას 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. ამასთან, 2017 წლის 4 აპრილს #AR1493112 განცხადებით წარმოდგენილია შპს „ტორნადო“-ს (მიწის ნაკვეთის მესაკუთრის) თანხმობა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.05.006.105; ფართობი 339 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882016425909; რეგისტრაციის თარიღი 08/07/2016 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882016554226, რეგისტრაციის თარიღი 25/08/2016 წ.);

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის

წარმომადგენლებთან.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.